სს მიკრობანკი “კრისტალის” აქციონერებს	To Shareholders of JSC Microbank “Crystal”
შეტყობინება სს მიკრობანკი “კრისტალის” (ს/ნ 212896570) აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევის შესახებ - დღის წესრიგში ცვლილების შეტანა	**Notice on convention of the Annual General Meeting of Shareholders of JSC Microbank “Crystal” (I/N 212896570) - Amendment in the agenda**
თარიღი: 17.03.2025	**Date: 17.03.2025**
საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ მუხლების 183 და 189 და სს მიკრობანკი კრისტალის წესდების მუხლის 7.14 თანახმად, გაცნობებთ, რომ სს მიკრობანკი “კრისტალის” (“საზოგადოება”) აქციონერთა წლიური საერთო კრება ჩატარდება 2025 წლის 31 მარტს თბილისის დროით 17:00 საათზე /სააღრიცხვო დღე: 2025 წლის 20 მარტი/ სხდომა ჩატარდება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.	Congruent to Articles 183 and 189 of the Law of Georgia on Entrepreneurs and Article 7.14 of the Charter of JSC Microbank Crystal, we hereby inform you that the Annual General Meeting of the shareholders of JSC Microbank “Crystal” (the “Company”) shall be held on the 31st of March 2025 at 17:00 (Tbilisi time) with recorded date: 20 March 2025. The meeting will be held via electronic communication.
კრების დღის წესრიგი მოიცავს:	**The issues of the agenda of the meeting shall include:**
1. აქციონერების ინფორმირება სს მიკრობანკი კრისტალის საქმიანობის შესახებ	1. Informing shareholders about the activities of JSC Microbank Crystal
2. სხვა საკითხები 2.1 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების გადახედვა მიკრობანკებისთვის საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. **/საკითხი 2.1 დღის წესრიგს დაემატა მეწარმეთა შესახებ კანონის მუხლი 191 პუნქტის 1 და პუნქტის 2 თანახმად, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონის მუხლი 191 პუნქტის საფუძველზე 40.0305% აქციების მფლობელმა აქციონერმა (“აგრიფ კოოპერატიფ იუ.ეი.”, შეზღუდული პასუხისმგებლობის კოოპერატივი, რეგისტრირებული ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად, (“ინვესტორი”, რომელსაც მართავს ინკოფინ ინვესტმენტ მენეჯმენტი), წარმომადგენელი: იან დევინგაერტი), 14 დღიანი მომართვის ვადის დაცვით მოითხოვა აქციონერთა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა/**	2. AOB 2.1 Review of Supervisory Board Members' Remuneration to Ensure Compliance with the Georgian Corporate Governance Code for Microbanks. **/Agenda item 2.1 was added in accordance with Article 191, Paragraphs 1 and 2 of the Law on Entrepreneurs. Specifically, based on Article 191 of the Law on Entrepreneurs, a shareholder holding 40.0305% of the shares (“Agrif Cooperatief U.A.”, a limited liability cooperative registered under Dutch law, (“Investor,” managed by Incofin Investment Management), represented by Jan Dewijngaert) requested an amendment to the shareholders’ meeting agenda, complying with the 14-day notice period./**

გთხოვთ, დაესწროთ კრებას და მიიღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში, დღის წესრიგში შემავალ საკითხთან დაკავშირებით. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. გთხოვთ წინასწარ უზრუნველყოთ შესაბამისი ზომების მიღება საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის უფლების განხორციელების შესახებ.	Please attend the meeting and take part in voting on the issue under the agenda. Only individuals, registered as shareholders on the accounting day are entitled to participate in and vote at the general meeting. A shareholder can exercise the right to participate and vote in the General Meeting both personally and through a representative. Please ensure that appropriate measures are taken in advance to participate in the General Meeting and exercise your voting rights.
კრების ჩატარებამდე შეგიძლიათ შეამოწმოთ კრებაში მონაწილეობის უფლება საზოგადოების რეგისტრატორთან (სს “კავკასრეესტრი”, დამოუკიდებელი რეგისტრატორი მერაბ ვარდიაშვილი მის: ილია ჭავჭავაძის გამზირი 74/ა, თბილისი, 0162.) თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და/ან მინდობილობის წარდგენით, აქციონერთა რეესტრის მონაცემების გადამოწმების გზით. საზოგადოების რეგისტრატორს შეგიძლიათ მიმართოთ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10 სთ-დან 18 სთმდე.	Prior to holding of the meeting you may examine your right of participation in the meeting by way of examining the shareholders’ registry data through presentation of your identification document and/or power of attorney to the registrar of the Company (JSC “Kavkasreestri”, independent registrar Merab Vardiashvili ; address: 74/a Ilia Chavchavadze Ave. Tbilisi, 0162, Georgia). You may apply to the registrar of the Company from Monday through Friday from 10 A.M. to 6 P.M.
	
არჩილ ბაკურაძე	**Archil Bakuradze**
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	**Chair of Supervisory Board**